საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030163341942416

№ 01-87/ო **15 / აპრილი / 2016 წ.**

C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის კლინიკური ჯგუფის შექმნის შესახებ

C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო გეგმის გადაუდებელი/პირველი ეტაპის ღონისძიებების ფარგლებში, პროგრამის კლინიკური მონიტორინგისა და შედეგების ანალიზის უზრუნველსაყოფად, „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის, „საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 31 დეკემბრის N249 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის „ა“, მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის, მე–5 მუხლის მე–2 პუნქტის „ნ“ და „ჟ“ ქვეპუნქტების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეიქმნას C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის კლინიკური ჯგუფი (შემდგომში - კლინიკური ჯგუფი) შემდეგი შემადგენლობით:

ა) თენგიზ ცერცვაძე - სს“ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი-ს გენერალური დირექტორი (კლინიკური ჯგუფის ხელმძღვანელი);

ბ) ლალი შარვაძე - ექიმი ინფექციონისტი, შპს ქართულ ფრანგული ერთობლივი ჰეპატოლოგიური კლინიკა „ჰეპა“;

გ) აკაკი აბუთიძე- ეპიდემიოლოგი, სს“ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი;

დ) მაია ბუწაშვილი - ექიმი ინფექციონისტი, შპს „კამკამიძე და პარტნიორები“-ნეოლაბი;

ე) ელზა ვაშაკიძე - ექიმი ინფექციონისტი, სს“ ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის ს/პ ცენტრი“;
ვ) ჯემალ დუმბაძე - ექიმი ინფექციონისტი, შპს ქ. ბათუმის ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონალური ცენტრის დირექტორი;

ზ) ლალი დარახველიძე - ექიმი ინფექციონისტი, შპს ზუგდიდის ინფექციური საავადმყოფო;

თ) ნანა გონგაძე - ექიმი ინფექციონისტი, შპს მულტიპროფილური ჰოსპიტალი მედიქალ სიტი;

ი) ქეთევან მანაგაძე - ექიმი ინფექციონისტი, შპს ლივერმედი.

2. კლინიკური ჯგუფის ძირითადი ფუნქციები განისაზღვროს შემდეგი სახით:

ა) C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის კლინიკური მონიტორინგი;

ბ) C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამის შედეგების ანალიზი;

გ) ,,C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აპრილის N169 დადგენილებით დამტკიცებული პროგრამის მიმწოდებლებთან კომუნიკაცია და მათთვის მეთოდური რეკომენდაციების შემუშავება;

დ) პროგრამის მიმწოდებელი კლინიკების ექიმთა პერიოდული ტრენინგების უზრუნველყოფა;

ე) კლინიკური ჯგუფი იკრიბება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ თვეში ერთისა და საქმიანობას წარმართავს ამ ბრძანებით განსაზღვრული ფუნქციების შესაბამისად;

ვ) კლინიკური ჯგუფი თავისი საქმიანობის შედეგებზე ანგარიშვალდებულია C ჰეპატიტის ელიმინაციის სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის წინაშე.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მინისტრი  დავით სერგეენკო